



აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის კვლევის ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების კოდექსი



დამტკიცებულია: წარმომადგენლობითი საბჭოს
2020 წლის 30 ნოემბრის №07 დადგენილებით

შინაარსი

თავი 1. ზოგადი დებულებანი	3
მუხლი 1. ზოგადი დებულებები	3
მუხლი 2. კოდექსის მიზანი	3
მუხლი 3. კოდექსის მოქმედების სფერო	4
მუხლი 4. აკადემიური თავისუფლება და აკადემიური კეთილსინდისიერება	4
მუხლი 5. კვლევის ეთიკის განმსაზღვრელი კრიტერიუმები	5
მუხლი 6. კვლევის ეთიკის სახელმძღვანელო პრინციპები	7
მუხლი 7. კვლევის ეთიკის სტანდარტები	9
თავი II. აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის ცალკეული სახეები	10
მუხლი 8. აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევა და თანმდევი შედეგი	10
მუხლი 9. აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის პრევენცია.....	10
მუხლი 10. აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის სახეები	11
თავი III. პერსონალის მიერ აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის ფორმებზე რეაგირების წესი.....	12
მუხლი 11. აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის ფორმებზე რეაგირების პრინციპები	12
მუხლი 12. აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის გამო დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძველი	12
მუხლი 13. განცხადება პერსონალის მიერ აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის შესახებ.....	12
მუხლი 14. კვლევის ეთიკის კომიტეტი	14
მუხლი 15. აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის დამდგენი კომისია	15
მუხლი 16. კომისიის მიერ საქმის მიუკერძოებლად გადაწყვეტა.....	15
მუხლი 17. კომისიის თავმჯდომარე და თავმჯდომარის მოადგილე	17
მუხლი 18. კომისიის მდივანი	17
მუხლი 19. კომისიის უფლებები და ვალდებულებები	18
მუხლი 20. კომისიის დასკვნა	19
მუხლი 21. კომიტეტის მიერ გადაწყვეტილების მიღების წესი	19
მუხლი 22. კომიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილება	20

მუხლი 23. კომიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრება (აპელაცია).....	21
მუხლი 24. კომიტეტის ან წარმომადგენლობით საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულება.....	21
მუხლი 25. დისციპლინური დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები.....	22
თავი IV. დოქტორანტის მიერ აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის ფორმებზე რეაგირების წესი	23
მუხლი 26. აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის გამოვლენის მექანიზმი	23
მუხლი 27. აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის დამდგენი კომისია	24
მუხლი 28. კომისიის დასკვნა	25
მუხლი 29. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების წესი	25
მუხლი 30. სადისერტაციო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება	26
მუხლი 31. სადისერტაციო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრება (აპელაცია)..	26
მუხლი 32. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს ან ფაკულტეტის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებ	27
მუხლი 33. დისციპლინური სანქცია	27
თავი V. დასკვნითი დებულებები.....	28
მუხლი 34. კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა	28

თავი I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი (შემდგომში - „უნივერსიტეტი“) აღიარებს და იცავს აკადემიური კეთილსინდისიერების საერთაშორისო სტანდარტებს. უნივერსიტეტი, საკუთარი მისიის შესაბამისად, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს საუნივერსიტეტო ცხოვრებაში აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპის გაცნობიერებასა და სათანადო ეთიკური ქცევის წესის დამკვიდრებას.
2. უნივერსიტეტში აკადემიური საქმიანობა, სწავლა-სწავლების და კვლევის პროცესი ემყარება აკადემიური კეთილსინდისიერების საერთაშორისოდ აღიარებულ ღირებულებებს: პატიოსნებას, ნდობას, სამართლიანობას, პატივისცემას, პასუხისმგებლობას და ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტების შესაბამისად.
3. აკადემიური კეთილსინდისიერების უზრუნველყოფის მიზნით, სწავლა-სწავლების და კვლევის პროცესში ჩართული ყველა პირი ვალდებულია, უნივერსიტეტის სივრცეში სამეცნიერო ნაშრომის შესრულებისას დაიცვას უნივერსიტეტში დადგენილი აკადემიური სტილი. საუნივერსიტეტო სივრცის მიღმა უნივერსიტეტის სახელით სხვადასხვა სახის სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობისას დასაშვებია აკადემიური წერის სხვა საერთაშორისო სტანდარტების გამოყენება.
4. კვლევის ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების კოდექსი (შემდგომში - კოდექსი) შემუშავებულია საქართველოს ორგანული კანონი - „საქართველოს შრომის კოდექსის“, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, უნივერსიტეტის დებულებისა და სხვა სამართლებრივი აქტების საფუძველზე.

მუხლი 2. კოდექსის მიზანი

1. კოდექსის მიზანია, ხელი შეუწყოს უნივერსიტეტში სწავლებისა და კვლევის ობიექტურ განხორციელებას, სამეცნიერო და აკადემიური საქმიანობის განვითარებას, აკადემიურ თავისუფლებას და მიუკერძოებლობას, საერთაშორისო სამეცნიერო სტანდარტების დანერგვას და დამკვიდრებას, ასევე საერთაშორისო დონის ნაშრომების გამოქვეყნებას და რეცენზირებას.

2. კოდექსი ემყარება და იცავს აკადემიური თავისუფლების კონსტიტუციურ პრინციპს, უზრუნველყოფს აკადემიურ საქმიანობაში, სწავლა-სწავლებისა და კვლევის პროცესში აკადემიური პატიოსნების დამკვიდრებას, თავისუფალ აკადემიურ გარემოსა და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში მაღალი ეთიკური სტანდარტის დანერგვას.
3. კოდექსი განსაზღვრავს უნივერსიტეტის აკადემიურ საქმიანობაში, სწავლა-სწავლებისა და კვლევის პროცესში კვლევის ეთიკის კრიტერიუმებს, პრინციპებსა და სტანდარტებს, აკადემიური კეთილსინდისიერების ცნებას, კვლევის ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის ფორმებს და პრევენციის საკითხებს, აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის ფორმების გამოვლენის შესაბამის გამჭვირვალე, თანმიმდევრულ, მიუკერძოებელ და სამართლიან პროცედურებს, კვლევის ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის ფორმებზე რეაგირების წესს, დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძვლებს, დისციპლინური პასუხისმგებლობის პროპორციულ და თანმიმდევრულ ზომებს, ასევე კვლევის ეთიკის კომიტეტის სტატუსს, მიზნებს, საქმიანობის ძირითად პრინციპებსა და უფლებამოსილებებს.

მუხლი 3. კოდექსის მოქმედების სფერო

წინამდებარე კოდექსის მოქმედება ვრცელდება:

- ა. უნივერსიტეტში დასაქმებულ პერსონალზე (შემდგომ „პერსონალი“), რომლებიც საკუთარი სამსახურებრივი საქმიანობის ფარგლებში უფლებამოსილნი არიან განახორციელონ სამეცნიერო-კვლევითი და საგანმანათლებლო საქმიანობის შედეგად მიღებული პროდუქტის შექმნა, გასაჯაროება ან/და გამოქვეყნება;
- ბ. დოქტორანტებზე, რომლებიც საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში უფლებამოსილნი არიან განახორციელონ სამეცნიერო-კვლევითი და საგანმანათლებლო საქმიანობის შედეგად მიღებული პროდუქტის შექმნა, გასაჯაროება ან/და გამოქვეყნება.

მუხლი 4. აკადემიური თავისუფლება და აკადემიური კეთილსინდისიერება

1. აკადემიური თავისუფლება უნივერსიტეტის კვლევითი სტრატეგიის ერთ-ერთი მთავარი ღირებულებაა. უნივერსიტეტი აღიარებს და იცავს აკადემიური თავისუფლების კონსტიტუციურ პრინციპს, რაც „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის

თანახმად, გულისხმობს აკადემიური პერსონალის, სამეცნიერო პერსონალისა და სტუდენტთა უფლებას, დამოუკიდებლად განახორციელონ სწავლება, სამეცნიერო კვლევა და სწავლა.

2. ზემოაღნიშნული პრინციპის შესაბამისად, უნივერსიტეტის პერსონალსა და დოქტორანტებს უფლება აქვთ უნივერსიტეტის სახელით ან/და მის ფარგლებში, დადგენილი რეგულაციების შესაბამისად, განახორციელონ შემოქმედებითი, სამეცნიერო-კვლევითი და საგანმანათლებლო საქმიანობა თავისუფლად, ყოველგვარი ზეწოლის, უსაფუძვლო ჩარევისა და შეზღუდვის გარეშე.
3. უნივერსიტეტის სივრცეში აკადემიური თავისუფლება ასევე გულისხმობს მკვლევართა თავისუფლებას, გამოიკვლიონ სამეცნიერო ან/და ინტელექტუალური თვალსაზრისით საინტერესო და მნიშვნელოვანი საკითხები, წარმოადგინონ კვლევის შედეგები, გამოაქვეყნონ მონაცემები და დასკვნები ყოველგვარი კონტროლისა და ცენზურის გარეშე, ასევე ასწავლონ ისე, როგორც მათ პროფესიულად მართებულად მიაჩნიათ.
4. აკადემიური კეთილსინდისიერება გულისხმობს პირის ქმედებას პატიოსნების, ნდობის, სამართლიანობის, პატივისცემისა და პასუხისმგებლობის ღირებულებათა შეგნებით და იმ რწმენით, რომ ეს ქმედება ყველაზე ხელსაყრელია აკადემიური სივრცისა და მიზნებისთვის.

მუხლი 5. კვლევის ეთიკის განმსაზღვრელი კრიტერიუმები

1. სამეცნიერო კვლევა გულისხმობს ლოგიკურ აზროვნებას, თეორიებისა და იდეების შეჯერებასა და ახალი მოსაზრებების ფორმულირებას. კვლევა გამოიყენება მოვლენათა აღწერის, ახსნისა და პროგნოზირებისათვის და მოიცავს ძირითად კომპონენტებს - ჰიპოთეზათა შემოწმებას, დაკვირვებასა და გაზომვებს, მიღებული შედეგების შეფასებასა და ანალიზს და დასკვნების ფორმულირებას. სამეცნიერო კვლევას აქვს ერთი შედეგი - რეალობის დადგენა. სამეცნიერო კვლევისას ხდება უცნობი მოვლენებისა და ფაქტების შესწავლა, იმ მთავარი შეკითხვის დასმა, რომელზედაც საბოლოო, შეჯერებული პასუხი არ არსებობს და დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემა შესაბამისი მონაცემების მოპოვების, ანალიზისა და ინტერპრეტაციის გზით.
2. უნივერსიტეტის სახელით ან/და მის ფარგლებში განხორციელებული სამეცნიერო ნაშრომი უნდა აკმაყოფილებდეს საყოველთაოდ მიღებულ კონკრეტულ მოთხოვნებს. მეცნიერული

- მსჯელობა უნდა მოიცავს რაციონალურობას, საკითხების ექვექვე დაყენებას, ფაქტების მოძიებასა და მათ გათვალისწინებას. ამასთან, იგი უნდა იყოს კრიტიკისთვის ღია, შემოწმებადი, არადოგმატური და საიმედო, ანალიზზე და არა ინსტინქტებზე დამყარებული.
3. უნივერსიტეტის სახელით ან/და მის ფარგლებში განხორციელებული სამეცნიერო ნაშრომი უნდა აკმაყოფილებდეს კვლევის ეთიკის განმსაზღვრელ ძირითად კრიტერიუმებს: კეთილსინდისიერებას, ობიექტურობას (ინტერსუბიექტურობას), მნიშვნელოვნებას, ორიგინალურობას, აზრობრივ და ენობრივ სიცხადეს, ვალიდურობას, გადამოწმებადობას/ გამჭვირვალობას.
 4. კეთილსინდისიერება სამეცნიერო ნაშრომის ხარისხის საფუძველია. მკვლევარმა ყველა გამოყენებული წყარო უნდა დაამოწმოს და არგუმენტაციის აგების პრინციპი ნათლად წარმოაჩინოს. მონაცემებით მანიპულირება, მათი გაყალბება და შედეგების გამოგონება დაუშვებელია სამეცნიერო მუშაობის პროცესში.
 5. ობიექტურობა (ინტერსუბიექტურობა): სამეცნიერო ნაშრომი უნდა იყოს მაქსიმალურად ნეიტრალური და მასში არ უნდა ვლინდებოდეს ავტორის პირადი სიმპათიები ან დამოკიდებულება საკვლევი საკითხის მიმართ. მკვლევარის დაკვირვებები და არგუმენტები უნდა იყოს ჩამოყალიბებული საქმიანად და მიუკერძოებლად ლოგიკური დასკვნა-დასაბუთების საფუძველზე. მკვლევარმა თავი უნდა შეიკავოს ემოციური და დაუსაბუთებელი მოსაზრებებისგან, არგუმენტაციისას უნდა წარმოაჩინოს მრავალი პერსპექტივის შესაძლებლობა და მისცეს მკითხველს მეტი სივრცე დამოუკიდებლად აზროვნებისთვის.
 6. მნიშვნელოვნება განაპირობებს დარგში ახალი ცოდნის შექმნას და დისციპლინის წინსვლას. მნიშვნელოვანია ის ნაშრომები, რომლებიც მაღალი ინფორმაციულობით გამოირჩევიან (კომპილაციური გამოკვლევა) და ამასთან ის კვლევები, რომელთაც კონკრეტული პრაქტიკული პრობლემების ამოხსნა/გადაჭრაში შეაქვთ წვლილი. ამრიგად, როდესაც მკვლევარი სამეცნიერო ნაშრომისთვის თემის შერჩევას იწყებს უწინარესად უნდა დაფიქრდეს იმაზე, რა არის ისეთი საკითხი, რისი გამოკვლევაც რომელიმე დარგს წინ წასწევს, რაზე და როგორ შეიძლება ახალი ცოდნის შექმნა, რა უნდა გაკეთდეს კონკრეტული პრობლემის მოსაგვარებლად.

7. ორიგინალურობა: სამეცნიერო ნაშრომის ორიგინალურობა მიიღწევა ახალი კონცეფციის შექმნით, ინოვაციური სქემის წარმოდგენით, კვლევის ახალი მოდელის/მეთოდის დამკვიდრებით ან პრობლემის გადაჭრის ახლებური ხედვით.
8. აზრობრივი და ენობრივი სიღრმე: სამეცნიერო ნაშრომის ენა უნდა იყოს მარტივი, ერთმნიშვნელოვანი და ზუსტი, წინადადებები უნდა იყოს მკაფიოდ აგებული და არ იძლეოდეს ინტერპრეტაციების საშუალებას. აღნიშნულის მისაღწევად, მკვლევარმა უნდა წეროს სადად, მოერიდოს ხატოვან სტილს და გრძელ (რთულ ქვეწყობილ) წინადადებებს, რაც ართულებს ტექსტის წაკითხვას და კიდევ უფრო მეტად - მის გაგებას. ამასთან, მკვლევარმა ყურადღება უნდა დაუთმოს მართლწერის საკითხებს და არ დაუშვას გრამატიკული, ბეჭდური და სტილისტური შეცდომები. მკვლევარი უნდა წერდეს სამეცნიერო მეტა-ენით (აღწერითი ენა) და ზომიერად იყენებდეს საკვლევ საკითხთან დაკავშირებულ დარგობრივ ტერმინებს, საჭიროების შემთხვევაში კი განმარტავდეს მათ, რათა ტერმინთა მრავალმნიშვნელობამ გაუგებრობა ან ბუნდოვანება არ აღძრას მკითხველში.
9. ვალიდურობა (საფუძვლიანობა, დასაბუთებულობა): ნაშრომი უნდა უზრუნველყოფდეს წამოჭრილი თვალსაზრისის შემოწმებისა და უარყოფის შესაძლებლობას. მნიშვნელოვანია, აკადემიურ ნაშრომში საკვლევი პრობლემა სრულყოფილად იყოს გააზრებული, სამეცნიერო ლიტერატურა თუ სხვა საკვლევი ხელსაწყოები ზედმიწევნით იყოს შერჩეული და მათი ურთიერთკავშირი მკაფიოდ წარმოჩინებული.
10. გამჭვირვალობა/გადამოწმებადობა: სამეცნიერო ნაშრომი არა ვარაუდებზე, არამედ გადამოწმებულ, სანდო ფაქტებსა და მონაცემებზე დაყრდნობით უნდა აიგოს, ხოლო მოყვანილი არგუმენტები ზედმიწევნით, უშეცდომოდ უნდა იყო დამოწმებული, რათა მკითხველს, სურვილის შემთხვევაში, წარმოდგენილი კვლევის გადამოწმება არ გაუჭირდეს.

მუხლი 6. კვლევის ეთიკის სახელმძღვანელო პრინციპები

1. თუ კვლევა ხორციელდება უნივერსიტეტის სახელით ან/და მის ფარგლებში, მკვლევარი ვალდებულია დაიცვას კვლევის ეთიკის სახელმძღვანელო პრინციპები.
2. უნივერსიტეტის სახელით ან/და მის ფარგლებში განხორციელებული კვლევა უნდა იყოს ღირებული. კვლევისგან მიღებული სარგებელი უნდა იყოს ნებისმიერ შესაძლო რისკზე წონადი. საუკეთესო შედეგის მისაღწევად კვლევის მეთოდოლოგია სწორად უნდა იყოს შერჩეული.

3. უნივერსიტეტის სახელით ან/და მის ფარგლებში განხორციელებული კვლევისას უზრუნველყოფილი უნდა იყოს კვლევაში მონაწილე პირთა დაცვა და მათი კეთილდღეობა, რათა კვლევის მონაწილეებს არ მიადგეთ რაიმე სახის ფიზიკური და/ან ფსიქიკური ზიანი ან არ შეექმნათ ზიანის მიყენების საფრთხე.
4. თუ კვლევა დაკავშირებულია კვლევაში მონაწილე პირის პოტენციურ რისკთან, მაშინ მკვლევარმა მოსალოდნელი რისკის შესახებ უნდა გააფრთხილოს კვლევის ყველა მონაწილე და მიიღოს მათგან ინფორმირებული წერილობითი თანხმობა. ამ შემთხვევაში, მკვლევარმა უნდა მიმართოს ეთიკის კომიტეტს თანხმობის მისაღებად. წინააღმდეგ შემთხვევაში, კვლევა არაეთიკურად ჩაითვლება.
5. უნივერსიტეტის სახელით ან/და მის ფარგლებში განხორციელებული კვლევისას დაცული უნდა იყოს ინფორმირებული თანხმობის პრინციპი. მკვლევარმა კვლევის ნებისმიერ მონაწილეს უნდა მიაწოდოს სრული ინფორმაცია კვლევის მიზნებისა და კვლევის ყველა ასპექტის შესახებ.
6. პირი შეიძლება მონაწილეობდეს კვლევაში მხოლოდ საკუთარი ნებით და ყოველგვარი იძულების გარეშე. კვლევის მონაწილე პირი დამოუკიდებლად იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას კვლევაში მონაწილეობის შესახებ. კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში მკვლევარმა ინფორმირებული თანხმობა უნდა მიიღოს კვლევაში მონაწილე პირის კანონიერი ან უფლებამოსილი წარმომადგენლისაგან.
7. მკვლევარმა საკუთარი გავლენა არ უნდა გამოიყენოს გავლენის ქვეშ მყოფ კვლევის მონაწილეებზე პირადი ინტერესების სასარგებლოდ. ნებისმიერი ფინანსური ან სხვა სახის სარგებელი არ შეიძლება გამოყენებული იქნეს ზემოქმედებად კვლევის პოტენციურ მონაწილეებზე, შესაძლო რისკზე დათანხმების მიზნით, რომელსაც ისინი ფინანსური ან სხვა სახის სარგებლის გარეშე არ დათანხმდებოდნენ.
8. უნივერსიტეტის სახელით ან/და მის ფარგლებში განხორციელებული კვლევის პროცესში დაუშვებელია კვლევის მონაწილე პირთა მოტყუება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კვლევის მიზნებიდან გამომდინარე კვლევის მონაწილეებმა არ უნდა იცოდნენ კვლევის ნამდვილი მიზეზი და მიზანი. ამასთან, მკვლევარი ყოველთვის უნდა ცდილობდეს თავიდან აიცილოს კვლევის მონაწილეთა მოტყუების შემთხვევები.
9. კვლევის მონაწილეს უფლება აქვს, ნებისმიერ დროს გამოეთიშოს კვლევას და უარი თქვას მასში მონაწილეობაზე, ყოველგვარი ახსნა-განმარტებების წარდგენისა და რაიმე სახის

პასუხისმგებლობის დაკისრების გარეშე. მკვლევარმა კვლევის მონაწილე პირს უნდა განუმარტოს აღნიშნული უფლების შესახებ კვლევის დაწყებამდე. კვლევის მონაწილე პირს უფლება აქვს მოითხოვოს მასთან დაკავშირებული ნებისმიერი პირადი მონაცემის განადგურება.

10. იმ შემთხვევაში, თუ კვლევის შედეგები უნდა გამოქვეყნდეს ან სხვა რაიმე გზით უნდა გახდეს ცნობილი ფართო საზოგადოებისათვის, მკვლევარმა აღნიშნულის თაობაზე უნდა აცნობოს კვლევის ყველა მონაწილეს და მიიღოს მათგან ინფორმირებული თანხმობა. ამასთან, თუ კვლევა კონფიდენციალური ან ანონიმურია, კვლევის ყველა მონაწილე უნდა იქნეს ინფორმირებული აღნიშნულის შესახებ.
11. უნივერსიტეტის სახელით ან/და მის ფარგლებში განხორციელებული კვლევისას დაცული უნდა იყოს კონფიდენციალობის პრინციპი. პერსონალური მონაცემები უნდა იყოს ხელმისაწვდომი მხოლოდ მკვლევართა ჯგუფისათვის, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კვლევის მონაწილე თანახმაა პერსონალური მონაცემების გასაჯაროებაზე.
12. თუ კვლევის დასრულების შემდეგ კვლევის მონაწილეს არ გააჩნია სრული ინფორმაცია განხორციელებული კვლევის შედეგების შესახებ და სურს მიიღოს იგი, მკვლევარი ვალდებულია მიაწოდოს მას სრული ინფორმაცია კვლევის შედეგების შესახებ.

მუხლი 7. კვლევის ეთიკის სტანდარტები

1. თუ კვლევა სრულდება უნივერსიტეტის სახელით ან/და მის ფარგლებში, მკვლევარი ვალდებულია:
 - ა. კვლევის მონაწილეებს მიაწოდოს სრული ინფორმაცია საკუთარი და ინსტიტუციური კუთვნილების შესახებ;
 - ბ. კვლევის დაწყებამდე კვლევის მონაწილეებს დეტალურად აუხსნას კვლევის მიზნები და პროცედურები;
 - გ. კვლევის დაწყებამდე განჭვრიტოს მოსალოდნელი წინააღმდეგობები და ეთიკური დილემები;
 - დ. კვლევის ყველა მონაწილისგან მიიღოს ინფორმირებული თანხმობა;
 - ე. პატივი სცეს კვლევით პროცესში მიღწეულ ყველა შეთანხმებას;
 - ვ. მიაღწიოს შეთანხმებას კვლევის იმ მონაწილესთან, რომელიც კვლევის შედეგების გაცნობას ითხოვს და მიაწოდოს მას კვლევის შედეგები წერილობითი ფორმით;

- ზ. კვლევის ყოველ ეტაპზე მკაცრად დაიცვას კვლევის ეთიკური სტანდარტები;
 - თ. საჭიროების შემთხვევაში კვლევის პროექტი გააცნოს კვლევის ეთიკის კომიტეტს;
 - ი. გააცნოს კვლევის მონაწილეებს თუ როგორ დამუშავდება და სად მოხვდება მათ მიერ მიწოდებული ინფორმაცია;
 - კ. აღწეროს კვლევის განხორციელების პირობები და მიზნები და აღნიშნული ინფორმაცია მიაწოდოს კვლევის მონაწილეებს წერილობითი ფორმით;
 - ი. იყოს გულწრფელი კვლევის მიზნებისა და კვლევის განხორციელების პირობების შესახებ;
 - ლ. გაასაჯაროვოს ინტერესთა კონფლიქტის მიმდინარე ან პოტენციური შემთხვევები და საკუთარი კვლევა წარმართოს აკადემიური კეთილსინდისიერების აღიარებული სტანდარტების დაცვით.
2. უნივერსიტეტის სახელით ან/და მის ფარგლებში განხორციელებული კვლევა უნდა იყოს მაქსიმალურად ობიექტური. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კვლევის დიზაინს, კვლევის პროცესს და კვლევის შედეგების აღწერას. კვლევის მონაწილეთა ღირსება, კონფიდენციალურობა და ინტერესები კვლევის ყველა ეტაპზე, მათ შორის კვლევის დასრულების შემდეგაც უნდა იყოს დაცული.

თავი II. აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის ცალკეული სახეები

მუხლი 8. აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევა და თანმდევი შედეგი

უნივერსიტეტის ფარგლებში აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევა დაუშვებელია. აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის ცალკეული სახეები, მათზე რეაგირებისა და პასუხისმგებლობის წესი განისაზღვრება წინამდებარე კოდექსით.

მუხლი 9. აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის პრევენცია

1. უნივერსიტეტი მოქმედებს მის ხელთ არსებული საშუალებებით, რათა გამორიცხოს აკადემიური კეთილსინდისიერების ნებისმიერი დარღვევა ცნობიერების ამაღლების, სწავლებისა და ცალკეულ შემთხვევებზე რეაგირების სამართლიანი მექანიზმებით.
2. აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის პრევენციის მიზნით, უნივერსიტეტი ვალდებულია, უნივერსიტეტის პერსონალსა და დოქტორანტებს გააცნოს უნივერსიტეტში

მოქმედი აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის მექანიზმები და შესაბამისი რეგულაციები.

3. უნივერსიტეტი ხელს უწყობს მსგავსების აღმოჩენი ელექტრონული პროგრამისა და ელექტრონული სწავლების პორტალის ეფექტიან გამოყენებას სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობაში.

მუხლი 10. აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის სახეები

1. წინამდებარე კოდექსის მიზნებისათვის აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის სახეებია:
 - ა. პლაგიატი, რაც გულისხმობს სხვის მიერ გამოქვეყნებული ნაშრომის ან მისი ნაწილის (ან გამოუქვეყნებელი ნაშრომის ან მისი ნაწილის, რომელზეც მტკიცდება ავტორობა, მათ შორის გამოქვეყნებული ან გამოუქვეყნებელი /მათ შორის დაცვის მიზნით მომზადებული, წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი/ თეორიების, ცნებების, მონაცემთა წყარო მასალების, სახელმძღვანელოების, მეთოდოლოგიების ან დასკვნების, გრაფიკების, გამოსახულებების და სხვა), როგორც საკუთარს წარმოდგენა და გამოყენება, ავტორის შესაბამისი მითითებისა და საჭიროების შემთხვევაში, ნებართვის გარეშე;
 - ბ. კომპილაცია, რაც გულისხმობს საავტორო უფლებით დაცული, სხვის მიერ მიღებული კვლევითი შედეგების, ნაშრომების გამოყენებას, დაჯგუფებას, წყაროების საკუთარი დამუშავების და ინტერპრეტაციის გარეშე ნაშრომის შექმნით;
 - გ. ფაბრიკაცია/ფალსიფიკაცია, რაც გულისხმობს ნაშრომში მონაცემების ცვლილებას, მონაცემებით მანიპულირებას, მიღებული შედეგების შერჩევითად გამოყენებას, წყაროების, შედეგების ან მეთოდოლოგიის, გრაფიკებისა და გამოსახულებების ჩათვლით, შესაბამისი აღნიშვნის გარეშე - რაც იწვევს შედეგებისა და დასკვნების არასწორ ინტერპრეტაციას;
 - დ. სამეცნიერო შედეგების განადგურება, რაც გულისხმობს საკუთარი ან სხვის მიერ მიღებული მონაცემების ან ჩანაწერების განადგურებას დამფინანსებელის ხელშეკრულების, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტების, შიგა რეგულაციების და პროფესიული ან დისციპლინური სტანდარტების დარღვევის გამოვლინების თავიდან ასაცილებლად.
2. წინამდებარე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული აკადემიური ეთიკის დარღვევის არსებობა/არარსებობის საკითხი განიხილება, იმისდა მიუხედავად, თუ სად და როდის ჰქონდა შესაძლო დარღვევას ადგილი.

თავი III. პერსონალის მიერ აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის ფორმებზე რეაგირების წესი

მუხლი 11. აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის ფორმებზე რეაგირების პრინციპები

აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევაზე რეაგირება და შესაბამისი პასუხისმგებლობის დაკისრება ხორციელდება წინამდებარე კოდექსით დადგენილი წესით, პროპორციულობის, მიუკერძოებლობის, საქმის გარემოებათა გამოკვლევისა და სამართლიანობის პრინციპების საფუძველზე.

მუხლი 12. პერსონალის მიერ აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის გამო დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძველი

პერსონალის მიერ აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის გამო დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძველია:

- ა. უნივერსიტეტის პერსონალის მიერ აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის ფაქტზე დაინტერესებული პირის მიერ წარდგენილი განცხადება, რომელსაც თან ახლავს საკმარისი მტკიცებულებები;
- ბ. უნივერსიტეტის პერსონალის მიერ აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის ფაქტის აღმოჩენა.

მუხლი 13. განცხადება პერსონალის მიერ აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის შესახებ

1. უნივერსიტეტის პერსონალის მიერ აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის ფაქტზე განცხადების წარდგენა შეუძლია როგორც უნივერსიტეტის აკადემიურ, მოწვეულ, სამეცნიერო და ადმინისტრაციულ პერსონალს, ასევე ნებისმიერ დაინტერესებულ პირს.
2. აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის შესახებ განცხადება შეიძლება შეეხებოდეს როგორც აკადემიური კეთილსინდისიერების დადგენის ფორმალური პროცესების ფარგლებში (კოლეგის მიერ შეფასება, მსგავსების აღმოჩენი ელექტრონული პროგრამის გამოყენება), ასევე ფორმალური პროცესების გარეთ აღმოჩენილ პერსონალის საეჭვო ქმედებებს.

3. აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის შესახებ დისციპლინური წარმოების დაწყების ერთ-ერთი საფუძველია უნივერსიტეტის კვლევის ეთიკის კომიტეტის (შემდგომ - „კომიტეტი“) სახელზე წარდგენილი დაინტერესებული პირის წერილობითი განცხადება, რომელიც კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების გარდა, უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:
 - ა. განცხადებაში აღწერილი უნდა იყოს აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის ფაქტი და წინამდებარე კოდექსით გათვალისწინებული კონკრეტული დარღვევის სახე;
 - ბ. განცხადებას თან უნდა ახლდეს შესაბამისი მტკიცებულებები (იმ ნაშრომების ორიგინალები, რომლებითაც განმცხადებლის აზრით, დასტურდება წინამდებარე დებულებით განსაზღვრული დარღვევა), რომლებიც ადასტურებენ განცხადებაში მითითებულ გარემოებებს.
4. აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის შესახებ განცხადების შინაარსი და განმცხადებლის შესახებ ინფორმაცია კონფიდენციალურია.
5. თუ განცხადება ვერ აკმაყოფილებს ამ მუხლის მესამე პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს კომიტეტი განმცხადებელს ხარვეზის აღმოსაფხვრელად განუსაზღვრავს გონივრულ ვადას, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 5 კალენდარულ დღეს.
6. ამ მუხლის მოთხოვნების დარღვევით წარმოდგენილი განცხადება კომიტეტის მიერ არ განიხილება.
7. აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის შესახებ განცხადებას კომიტეტი განიხილავს სამართლიანად, ობიექტურად და მიუკერძოებლად და განხილვის შედეგებს აცნობს დაინტერესებულ მხარეებს.
8. აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის შესახებ განცხადებას, მასზე თანდართულ მტკიცებულებებს, შესაბამისი კვლევის მონაცემებს, პუბლიკაციებს, სხვა მასალებს კომიტეტი განიხილავს მისი რეგისტრაციიდან (ხარვეზის აღმოფხვრიდან) არაუგვიანეს 5 კალენდარული დღის ვადაში და საკმარისი საფუძვლების არსებობისას განსაზღვრავს აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის დამდგენი კომისიის (შემდგომ - „კომისია“) შემადგენლობას, რომელსაც წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორს დასამტკიცებლად.
9. კომიტეტის წარდგინებიდან 3 კალენდარული დღის ვადაში უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით იქმნება აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის დამდგენი კომისია.

10. პირის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყება არ ზღუდავს მას უნივერსიტეტის აკადემიურ საქმიანობაში, სწავლა-სწავლებისა და კვლევის პროცესში მონაწილეობის უფლებას, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ მისი მონაწილეობა საფრთხეს უქმნის სხვა პირთა უფლებებს, სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, უნივერსიტეტის საკუთრებას, უსაფრთხოებას, საქმიან რეპუტაციასა და პრესტიჟს.

მუხლი 14. კვლევის ეთიკის კომიტეტი

1. კომიტეტი არის უნივერსიტეტის მუდმივმოქმედი კოლეგიური ორგანო, რომელიც საქმიანობის წარმართვისას ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის დებულებით, ამ კოდექსითა და უნივერსიტეტში მოქმედი სხვა შიდა სამართლებრივი აქტებით.
2. კომიტეტი საკუთარი საქმიანობისას ხელმძღვანელობს კანონიერების, კოლეგიალობის, თანასწორობის, კონფიდენციალობის, კეთილსინდისიერებისა და დამოუკიდებლობის პრინციპების საფუძველზე.
3. კომიტეტის მიზანია, ხელი შეუწყოს უნივერსიტეტში აკადემიური კეთილსინდისიერებისა და კვლევითი ეთიკის პრინციპების დაცვას და განვითარებას.
4. კომიტეტი, ამ კოდექსითა და უნივერსიტეტის სხვა სამართლებრივი აქტებით მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში:
 - ა. უნივერსიტეტის პერსონალსა და დოქტორანტებს აძლევს რჩევებსა და მითითებებს აკადემიური კეთილსინდისიერებისა და კვლევის ეთიკასთან დაკავშირებულ საკითხებზე;
 - ბ. შეიმუშავებს კვლევის ეთიკურ საკითხებთან დაკავშირებით სახელმძღვანელო პრინციპებს და ხელს უწყობს კვლევის ეთიკის სტანდარტებისა და აკადემიური კეთილსინდისიერების შესახებ მკვლევართა ცნობიერების ამაღლებას;
 - გ. იძლევა დასკვნას უნივერსიტეტის სახელით განხორციელებული კვლევების ეთიკის არსებულ სტანდარტებთან შესაბამისობის შესახებ წინამდებარე კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში;
 - დ. კვლევის ეთიკური პრინციპების დაცვის მიზნით განიხილავს კვლევით პროექტებთან დაკავშირებულ ეთიკურ საკითხებს;
 - ე. ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს.

5. კომიტეტი, კომპეტენციის ფარგლებში, შეისწავლის უნივერსიტეტის პერსონალის მიერ აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებისა და კვლევის ეთიკის ნორმების დარღვევის ფაქტებს და ამ ფაქტებზე რეაგირების მიზნით, იღებს შესაბამის გადაწყვეტილებებს.
6. კომიტეტი შედგება 5 (ხუთი) მუდმივმოქმედი წევრისაგან. კომიტეტის შემადგენლობას ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი. შესაბამისად, კომიტეტი ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის რექტორის წინაშე.
7. კომიტეტს ხელმძღვანელობს თავმჯდომარე, რომელიც ხელს აწერს და უნივერსიტეტის რექტორს წარუდგენს კომიტეტის სხდომაზე მიღებულ გადაწყვეტილებებს, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის დამდგენი კომისიის შექმნასთან დაკავშირებით.
8. კომიტეტის საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკურ უზრუნველყოფას ახორციელებს კომიტეტის მდივანი.
9. საჭიროების შემთხვევაში, აკადემიური კეთილსინდისიერების საკითხის განხილვისას, უნივერსიტეტის რექტორის გადაწყვეტილებით, კომიტეტის შემადგენლობაში შესაძლებელია შეყვანილ იქნენ ფაკულტეტის დეკანი, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, ასევე შესაბამისი დარგის/მიმართულების დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე აკადემიური და მოწვეული პერსონალი.

მუხლი 15. აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის დამდგენი კომისია

1. აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის დამდგენი კომისია უნდა შედგებოდეს შესაბამისი მიმართულების (დარგის, სპეციალობის) დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირებისაგან.
2. კომისიის შემადგენლობაში არანაკლებ ერთი წევრი უნდა იყოს შესაბამისი მიმართულების (დარგის, სპეციალობის) წარმომადგენელი საქართველოდან ან/და უცხოეთიდან, რომელსაც უნივერსიტეტში არ უკავია აკადემიური თანამდებობა.
3. კომისიის წევრებს, უნდა ჰქონდეთ კვლევითი საქმიანობის მდიდარი გამოცდილება და მაღალი კვალიფიკაცია კვლევის მოცემულ სფეროში და ისინი სამეცნიერო საზოგადოებაში უნდა სარგებლობდნენ ნდობითა და პატივისცემით.

4. კომისია, როგორც წესი, უნდა შედგებოდეს არანაკლებ 5 წევრისაგან. კომისიის წევრთა რიცხვი უნდა იყოს კენტი.
5. კომისიის მუშაობა კონფიდენციალურია. კომისია ვალდებულია დაიცვას როგორც განმცხადებლის, ასევე აკადემიური კეთილსინდისიერების სავარაუდო დამრღვევი პირის კონფიდენციალობა, რათა აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის ფაქტის დადასტურებამდე ზიანი არ მიაღგეს პირის პრესტიჟსა და ავტორიტეტს. კომისიის წევრი ვალდებულია არ გაამჟღავნოს ინფორმაცია კომისიის მუშაობის დასრულებამდე.
6. კომისიის სხდომა დახურულია. კომისია უფლებამოსილია, თუ კომისიის სხდომას ესწრება კომისიის წევრთა 2/3 მაინც.
7. კომისიის გადაწყვეტილებით სხდომა შესაძლებელია ჩატარდეს ელექტრონული პლატფორმის გამოყენებით. ამ შემთხვევაში, უზრუნველყოფილი უნდა იქნეს კომისიის ყველა დამსწრე წევრის ვიზუალური და აუდიო იდენტიფიცირება. ვიდეოჩანაწერი თან ერთვის სხდომის ოქმს, ხოლო მისი დამუშავება ხორციელდება „პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.
8. კომისია გადაწყვეტილებებს იღებს დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით. ამასთან, კომისიის წევრი არ სარგებლობს კენჭისყრისას ხმის მიცემისაგან თავის შეკავების უფლებით.
9. კომისიის მუშაობის ის პროცედურები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე კოდექსით, შესაძლებელია დადგინდეს უშუალოდ კომისიის მიერ, კომისიის წერილობითი გადაწყვეტილების სახით.
10. კომისიის პირველი სხდომა უნდა დანიშნოს კომისიის დამტკიცებიდან არაუგვიანეს 7 კალენდარული დღისა. კომისია პირველ სხდომაზე ცნობს თავის უფლებამოსილებას და ღია კენჭისყრით ირჩევს თავჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილეს და მდივანს.

მუხლი 16. კომისიის მიერ საქმის მიუკერძოებლად გადაწყვეტა

1. კომისია ვალდებულია თავისი უფლებამოსილება განახორციელოს მიუკერძოებლად.
2. კომისია შემადგენლობა უნდა გამორიცხავდეს ინტერესთა კონფლიქტს. კომისიის მუშაობაში არ შეიძლება მონაწილეობა მიიღოს პირმა, რომელსაც აქვს პირადი ინტერესი, ანდა არსებობს სხვა გარემოება, რომელიც ზეგავლენას მოახდენს საქმის გადაწყვეტაზე.
3. კომისიის მუშაობაში არ შეიძლება მონაწილეობდეს პირი, თუ იგი:

- ა. მონაწილეობდა ორიგინალი ან სადავო ნაშრომის შექმნაში;
 - ბ. აკადემიური კეთილსინდისიერების შესაძლო დამრღვევის ან მისი წარმომადგენლის ახლო ნათესავია;
 - გ. ორიგინალი ნაშრომის ავტორის ახლო ნათესავია;
 - დ. განმცხადებლის ან მისი წარმომადგენლის ახლო ნათესავია.
4. წინამდებარე კოდექსის მიზნებისათვის „ახლო ნათესავში“ იგულისხმება პირის ოჯახის წევრი, პირდაპირი აღმავალი და დაღმავალი შტოს ნათესავი, გერი, და და ძმა, აგრეთვე მშობლის და შვილის გერები.
 5. აცილების საფუძვლის არსებობისას კომისიის წევრი ვალდებულია განაცხადოს თვითაცილება.
 6. თუ კომისიის წევრი, აცილების საფუძვლის არსებობისას, არ განაცხადებს თვითაცილებას, კომისიის წევრს, განმცხადებელს ან აკადემიური კეთილსინდისიერების შესაძლო დამრღვევს უფლება აქვს კომისიის საქმიანობის ნებისმიერ ეტაპზე დასაბუთებული წერილობით განცხადებით მოითხოვოს ამ პირის აცილება.
 7. კომისიის შემადგენლობაში შემავალი პირის აცილების საკითხს წყვეტს კომისია ამ პირის მონაწილეობის გარეშე.

მუხლი 17. კომისიის თავმჯდომარე და თავმჯდომარის მოადგილე

1. კომისიის თავმჯდომარე ხელმძღვანელობს და წარმართავს კომისიის საქმიანობას.
2. კომისიის თავმჯდომარე იწვევს და უძღვება კომისიის სხდომებს. კომისიის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში კომისიის სხდომებს ხელმძღვანელობს კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.

მუხლი 18. კომისიის მდივანი

1. კომისიის ორგანიზაციულ საქმიანობას უზრუნველყოფს კომისიის მდივანი.
2. კომისიის მდივანი აწარმოებს კომისიის სხდომის ოქმებს. კომისიის მდივანი ეხმარება კომისიის თავმჯდომარეს და მის მოადგილეს ორგანიზაციული საკითხების მოგვარებაში.
3. კომისიის მდივანი ვალდებულია, მინიმუმ 3 კალენდარული დღით ადრე, შეატყობინოს კომისიის წევრებს კომისიის სხდომის დრო, ადგილი და დღის წესრიგის პროექტი.

მუხლი 19. კომისიის უფლებები და ვალდებულებები

1. კომისიას უფლება აქვს, საჭიროების შემთხვევაში, განმცხადებლისაგან მოითხოვოს დარღვევის შინაარსის გამომხატველი გარემოებების შესახებ დამატებითი წერილობითი ინფორმაციის წარდგენა. განმცხადებელი ვალდებულია კომისიას წარუდგინოს დამატებითი წერილობითი ინფორმაცია, რომელშიც მკაფიოდ უნდა ასახოს დარღვევის შინაარსი, შინაარსობრივი შედარებები და მათი ანალიზი. ინფორმაციის წარუდგენლობა, წარდგენილ განცხადებაზე წარმოების შეწყვეტის საფუძველია.
2. საჭიროების შემთხვევაში, კონკრეტული საკითხის გადაწყვეტის მიზნით, კომისიას უფლება აქვს მოიწვიოს შესაბამისი დარგის სპეციალისტი/ექსპერტი.
3. კომისიას უფლება აქვს, მიმდინარე წარმოების ნებისმიერ ეტაპზე, კომისიის სხდომაზე მოიწვიოს განმცხადებელი და, საჭიროების შემთხვევაში, მოსთხოვოს მას წერილობითი და სიტყვიერი განმარტებები კომისიის მუშაობის დროს წამოჭრილ საკითხებზე.
4. კომისიის სხდომაზე განმცხადებელი უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ დარღვევის შინაარსის გამომხატველი გარემოებების აღწერით და მისი დასაბუთებით. განმცხადებელს უფლება არა აქვს დარღვევის შესაძლო ჩამდენი პირის მიმართ მოითხოვოს კონკრეტული სანქციის გამოყენება.
5. კომისიას უფლება აქვს, მიმდინარე წარმოების ნებისმიერ ეტაპზე, კომისიის სხდომაზე მოიწვიოს სხვა პირებიც, რომლებიც შესაძლოა ფლობდნენ განცხადებაში აღნიშნული ფაქტების შესახებ ინფორმაციას.
6. კომისია ვალდებულია, მიმდინარე წარმოების ნებისმიერ ეტაპზე, კომისიის სხდომაზე მოიწვიოს განცხადებაში მითითებული დარღვევის/დარღვევების შესაძლო ჩამდენი პირი. განცხადებაში მითითებული დარღვევის/დარღვევების შესაძლო ჩამდენ პირს უფლება აქვს კომისიას მიაწოდოს თავის ხელთ არსებული ინფორმაცია და მტკიცებულებები საკუთარი პოზიციის დასაცავად.

მუხლი 20. კომისიის დასკვნა

1. კომისია იღებს გადაწყვეტილებას, რომელიც აისახება კომისიის დასკვნაში. კომისიის დასკვნა უნდა მოიცავდეს ინფორმაციას განმცხადებლის, მისი სტატუსის (აკადემიური

ხარისხი), დაკავებული პოზიციის, განმცხადებლის მოთხოვნის, განცხადებაში აღნიშნული დარღვევის, დარღვევის შესაძლო ჩამდენი პირის, ასევე განცხადების შესწავლის მიზნით კომისიის მიერ განხორციელებული პროცედურების შესახებ. კომისიის დასკვნის შემაჯამებელ ნაწილში უნდა იყოს დასაბუთებული დარღვევის არსებობის ან არარსებობის ფაქტი.

2. კომისიის დასკვნა ძალაში შედის, თუ მას ხელს აწერს კომისიის წევრთა არანაკლებ 3/4. განსხვავებული აზრის მქონე კომისიის წევრი ვალდებულია დასკვნის შედგენიდან 2 კალენდარული დღის ვადაში კომისიას წარუდგინოს განსხვავებული აზრი წერილობითი ფორმით, რომელიც თან ერთვის კომისიის დასკვნას და იგი კომისიის დასკვნის განუყოფელი ნაწილია.
3. კომისიის დასკვნა ეგზავნება უნივერსიტეტის კვლევის ეთიკის კომიტეტს შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.

მუხლი 21. კომიტეტის მიერ გადაწყვეტილების მიღების წესი

1. გადაწყვეტილებას, აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის შესახებ განცხადებასთან დაკავშირებით ჩატარებული წარმოების შედეგების საფუძველზე, იღებს უნივერსიტეტის კვლევის ეთიკის კომიტეტი წევრთა შემადგენლობის უმრავლესობით.
2. კომიტეტმა გადაწყვეტილების მიღებისას უნდა იხელმძღვანელოს მიუკერძოებლობის, ობიექტურობის, მხარეთა თანასწორობის პრინციპების საფუძველზე.
3. კომიტეტის გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული და ემყარებოდეს კომისიის დასკვნას, წარმოების მასალაში არსებულ სხვა დოკუმენტებს, საქმის ირგვლივ არსებულ ფაქტობრივ გარემოებებსა და შესაბამის მტკიცებულებებს. ყველა მტკიცებულება, რომლებიც დისციპლინური წარმოების საფუძველია, სათანადოდ უნდა იქნეს გამოკვლეული კომიტეტის მიერ.
4. კომიტეტის წევრს, რომელიც არ ეთანხმება კომიტეტის გადაწყვეტილებას, უფლება აქვს გამოთქვას განსხვავებული აზრი, რომელიც ასახვას ჰპოვებს კომიტეტის სხდომის ოქმში.
5. კომიტეტის წევრებს შორის ხმათა თანაბარი განაწილების შემთხვევაში, კომიტეტის თავმჯდომარე სარგებლობს გადამწყვეტი ხმის უფლებით.
6. კომიტეტის სხდომის შედეგებზე ფორმდება კომისიის სხდომის ოქმი, რომელსაც ხელს აწერს კომისიის თავმჯდომარე (მისი არყოფნის შემთხვევაში - მოადგილე) და მდივანი.

კომიტეტის ოქმში შეიტანება დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის შედეგები. ოქმს თან დაერთვის სხდომაზე განსახილველად წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი, მათ შორის კომისიის დასკვნა, წარმოების მასალაში არსებული სხვა დოკუმენტები, ასევე საქმის განხილვისას გამოკვლეული სხვა მტკიცებულებები.

მუხლი 22. კომიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილება

1. აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის შესახებ განცხადებასთან დაკავშირებით ჩატარებული წარმოების შედეგების საფუძველზე კვლევის ეთიკის კომიტეტს უფლება აქვს მიიღოს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება:
 - ა. აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის ფაქტის არარსებობის გამო კომისიის დასკვნის ინფორმაციის (ცნობის) სახით მიღების შესახებ;
 - ბ. პლაგიატის ფაქტის დადგენის გამო დამრღვევის (დასაქმებულის) დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ;
 - გ. კომპილაციის, ფაბრიკაციის/ფალსიფიკაციის, სამეცნიერო შედეგების განადგურების ფაქტის დადგენის გამო დამრღვევის (დასაქმებულის) დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ ან დამრღვევის (დასაქმებულის) მიმართ წინამდებარე კოდექსით გათვალისწინებული სხვა დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის გამოყენების შესახებ.
2. დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის გამოყენებისას კომიტეტმა უნდა დაიცვას სამართლიანობის, ობიექტურობის, შეფარდებულ ზომასა და ჩადენილ გადაცდომას შორის პროპორციულობისა და თანაბარზომიერების პრინციპები.
3. აკადემიური ეთიკის დარღვევის შესახებ განცხადებასთან დაკავშირებით ჩატარებული წარმოების შედეგების საფუძველზე, აკადემიური ეთიკის დარღვევის/დარღვევების არსებობისას, კომიტეტი შესაბამისი ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს უგზავნის წერილობით მოთხოვნას დამრღვევის მიერ უნივერსიტეტის ფარგლებში დაცულ სადისერტაციო ნაშრომზე მინიჭებული აკადემიური ხარისხის საფუძველიანობის შემოწმების შესახებ.
4. უნივერსიტეტი ვალდებულია დაიცვას უნივერსიტეტის პერსონალი უსაფუძვლო, აბსურდული და ცილისმწამებლური ბრალდებებისგან. აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის ფაქტის დაუდასტურებლობის შემთხვევაში, უნივერსიტეტი ვალდებულია,

საჭიროების შემთხვევაში, აამოქმედებს მის ხელთ არსებული ყველა მექანიზმი პირის რეპუტაციის აღსადგენად.

5. კომიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, გასაჩივრების ვადის ამოწურვიდან 3 კალენდარული დღის ვადაში, ეგზავნება უნივერსიტეტის რექტორს და პირს, რომლის მიმართაც მიმდინარეობდა დისციპლინური წარმოება.

მუხლი 23. კომიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრება (აპელაცია)

1. პირს უფლება აქვს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის გამოყენების შესახებ კომიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილება გაასაჩივროს ამ მუხლით დადგენილი წესით.
2. თუ პირი არ ეთანხმება კომიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებას, მას უფლება აქვს გადაწყვეტილების მიღებიდან 5 კალენდარული დღის ვადაში წერილობით მიმართოს უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს და გაასაჩივროს მიღებული გადაწყვეტილება.
3. საჩივარი უნდა იყოს დასაბუთებული. მასში მკაფიოდ უნდა იყოს მითითებული გასაჩივრების საგანი და გამსაჩივრების არგუმენტები.
4. უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს მიერ საჩივრის განხილვისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ინტერესთა კონფლიქტი. საკითხის განხილვაში არ შეიძლება მონაწილეობდეს წარმომადგენლობით საბჭოს ის წევრი, რომელიც ამავდროულად ეთიკის კომიტეტის წევრია.
5. უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს მიერ საჩივრის განხილვისას პირს უფლება აქვს დაესწროს სხდომას და წარმოადგინოს საკუთარი მოსაზრებები და მტკიცებულებები.
6. საჩივრის განხილვის შედეგების მიხედვით უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს უფლება აქვს მიიღოს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება:
 - ა. კვლევის ეთიკის კომიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ;
 - ბ. დამრღვევის (დასაქმებულის) მიმართ წინამდებარე კოდექსით გათვალისწინებული სხვა დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის გამოყენების შესახებ.
7. წარმომადგენლობით საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, გადაწყვეტილების მიღებიდან 3 კალენდარული დღის ვადაში, ეგზავნება უნივერსიტეტის რექტორს და პირს, რომლის მიმართაც მიმდინარეობდა დისციპლინური წარმოება.

მუხლი 24. კომიტეტის ან წარმომადგენლობით საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულება

1. აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის დადასტურების შემთხვევაში კომიტეტის, ხოლო გასაჩივრების შემთხვევაში უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე უნივერსიტეტის რექტორი, შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებიდან 5 კალენდარული დღის ვადაში, იღებს გადაწყვეტილებას პირის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომების გამოყენების შესახებ.
2. დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის გამოყენების შესახებ რექტორის გადაწყვეტილება საბოლოოა და იგი შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 25. დისციპლინური დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები

1. უნივერსიტეტის რექტორის მიერ უნივერსიტეტის პერსონალის მიმართ შეიძლება გატარდეს შემდეგი დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები:
 - ა. შენიშვნა;
 - ბ. საყვედური;
 - გ. გრანტის ხელშეკრულების შეჩერება;
 - დ. არა უმეტეს ათი სამუშაო დღის შრომის ანაზღაურების დაკავება;
 - ე. არა უმეტეს ერთი სასწავლო სემესტრის განმავლობაში, ხელფასის გაცემის შეჩერებით, აკადემიური მოვალეობის შესრულებისგან ჩამოშორება;
 - ვ. სამსახურიდან განთავისუფლება/შრომის ხელშეკრულების შეწყვეტა.
2. აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის ფაქტის არსებობისას, პირს ეკრძალება უნივერსიტეტის სახელით აკადემიური ნაშრომის გამოქვეყნება.
3. აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის ფაქტის არსებობისას, შესაბამისი ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, უნივერსიტეტის ფარგლებში დაცულ სადისერტაციო ნაშრომზე პირს ასევე შეიძლება ჩამოერთვას მინიჭებული აკადემიური ხარისხი.

**თავი IV. დოქტორანტის მიერ აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის ფორმებზე
რეაგირების წესი**

მუხლი 26. აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის გამოვლენის მექანიზმი

1. ამ თავით გათვალისწინებული მოთხოვნები ვრცელდება უნივერსიტეტის დოქტორანტებზე, რომლებიც სასწავლო პროგრამის ფარგლებში უფლებამოსილი არიან განახორციელონ სამეცნიერო-კვლევითი და საგანმანათლებლო საქმიანობის შედეგად მიღებული პროდუქტის შექმნა და გასაჯაროება ან/და გამოქვეყნება.
2. აკადემიური კეთილსინდისიერების, აკადემიური ეთიკის სტანდარტების, აკადემიური პატიოსნებისა და სამეცნიერო კვლევის ეთიკური შედეგების გადამოწმების მიზნით დოქტორანტი, საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შექმნილი სამეცნიერო-კვლევითი პროდუქტის (სამეცნიერო-კვლევითი პროექტი, სადისერტაციო ნაშრომი, პუბლიკაცია და სხვა) ელექტრონულ ვერსიას ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოში წარდგენამდე ან/და გამოქვეყნებამდე, სამეცნიერო ხელმძღვანელის თანხმობით, წარუდგენს უნივერსიტეტის სადოქტორო კვლევების განვითარების ცენტრს (შემდგომში - ცენტრი).
3. დოქტორანტის მიერ სასწავლო კომპონენტში (სასწავლო კურსები, სადოქტორო სემინარები და სხვა) აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის აღმოჩენისა და აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის შემთხვევებზე მათზე რეაგირების მექანიზმები, განისაზღვრება „შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილებისა და პლაგიატის შემთხვევაზე რეაგირების წესით“.
4. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს დოქტორანტს, საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შექმნილი სამეცნიერო-კვლევითი პროდუქტის ცენტრში წარდგენამდე, უშუალოდ გადამოწმოს აღნიშნული პროდუქტი უნივერსიტეტში არსებული მსგავსების აღმოძრენი ელექტრონული პროგრამით.
5. ცენტრში წარდგენილი სამეცნიერო-კვლევითი პროდუქტის ელექტრონულ ვერსიას თან უნდა ახლდეს დოქტორანტის განცხადება იმის თაობაზე, რომ წარდგენილი სამეცნიერო-კვლევითი პროექტი არ შეიცავს აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის ელემენტებს, ორიგინალურია, სხვა ავტორთა მოსაზრებები მითითებულია დადგენილი წესით და კვლევის მეთოდების გამოყენებისას დაცულია ეთიკის ნორმები.

6. ცენტრი ვალდებულია, სამეცნიერო-კვლევითი პროდუქტის წარდგენიდან 15 კალენდარული დღის ვადაში, ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს წარუდგინოს წერილობითი დასკვნა დოქტორანტის მიერ აკადემიური კეთილსინდისიერების, აკადემიური ეთიკის სტანდარტების, აკადემიური პატიოსნების დაცვის შესახებ. დასკვნას ასევე უნდა მოიცავდეს სამეცნიერო-კვლევითი პროდუქტის მსგავსების აღმოჩენი ელექტრონული პროგრამით გადამოწმების შედეგებს.
7. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო ცენტრის წერილობით დასკვნას, მისი მიღებიდან 3 კალენდარული დღის ვადაში, გადასცემს დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელს, რომელიც აფასებს წარდგენილ სამეცნიერო-კვლევით პროდუქტს და დასკვნის მიღებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში გასცემს წერილობით დასკვნას:
 - ა. სამეცნიერო-კვლევითი პროექტის, სადისერტაციო ნაშრომის საჯარო განხილვაზე დაშვების ან დაუშვებლობის შესახებ;
 - ბ. პუბლიკაციის გასაჯაროებების/გამოქვეყნების ან მის გასაჯაროებაზე/გამოქვეყნებაზე უარის თქმის შესახებ.
8. წარდგენილ სამეცნიერო-კვლევით პროდუქტში აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში, დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი დასაბუთებულ წერილობით დასკვნას წარუდგენს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს და დოქტორანტს.
9. საჭიროების შემთხვევაში, ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო, დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის წერილობითი დასკვნის საფუძველზე, განსაზღვრავს აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის დამდგენი კომისიის შემადგენლობას და დოქტორანტის აკადემიური კეთილსინდისიერების საკითხის განხილვის თარიღს.

მუხლი 27. აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის დამდგენი კომისია

1. აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის დამდგენი კომისია უნდა შედგებოდეს შესაბამისი მიმართულების (დარგის, სპეციალობის) დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე არანაკლებ 5 და არაუმეტეს 7 წევრისგან.
2. კომისია თავისი შემადგენლობიდან ღია კენჭისყრით ირჩევს კომისიის თავჯდომარეს და მდივანს. კომისიის თავჯდომარე უძღვება კომისიის სხდომას, ხოლო კომისიის მდივანი აწარმოებს კომისიის სხდომის ოქმს.

3. კომისიის სხდომა დახურულია. კომისია უფლებამოსილია, თუ კომისიის სხდომას ესწრება კომისიის წევრთა 2/3 მაინც.
4. კომისიის გადაწყვეტილებით სხდომა შესაძლებელია ჩატარდეს ელექტრონული პლატფორმის გამოყენებით. ამ შემთხვევაში, უზრუნველყოფილი უნდა იქნეს კომისიის ყველა დამსწრე წევრის ვიზუალური და აუდიო იდენტიფიცირება. ვიდეოჩანაწერი თან ერთვის სხდომის ოქმს, ხოლო მისი დამუშავება ხორციელდება „პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.
5. დოქტორანტს, საკითხის განხილვამდე სულ მცირე 2 კალენდარული დღით ადრე, უნდა გაეგზავნოს წერილობითი შეტყობინება აკადემიური კეთილსინდისიერების საკითხის განხილვის თარიღის შესახებ.
6. დოქტორანტს უფლება აქვს:
 - ა. დაესწროს საკითხის განხილვას და საკითხის განხილვისას ისარგებლოს სიტყვის უფლებით;
 - ბ. მიაწოდოს კომისიას თავის ხელთ არსებული ინფორმაცია და მტკიცებულებები საკუთარი პოზიციის დასაცავად.

მუხლი 28. კომისიის დასკვნა

1. კომისია იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით. ამასთან, კომისიის წევრი არ სარგებლობს კენჭისყრისას ხმის მიცემისაგან თავის შეკავების უფლებით.
2. კომისიის გადაწყვეტილებაში დასაბუთებული უნდა იყოს აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის არსებობის ან არარსებობის ფაქტი.
3. კომისია დასაბუთებულ გადაწყვეტილებას წერილობითი სახით უგზავნის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს და დოქტორანტს, გადაწყვეტილების მიღებიდან 3 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 29. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების წესი

1. გადაწყვეტილებას, აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის შესახებ, კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე, იღებს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო (შემდგომ -

სადისერტაციო საბჭო), დამსწრე წევრთა უმრავლესობით. საბჭოს წევრებს შორის ხმათა თანაბარი განაწილების შემთხვევაში, საბჭოს თავმჯდომარე სარგებლობს გადამწყვეტი ხმის უფლებით.

2. სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული და ემყარებოდეს არა მხოლოდ კომისიის დასკვნას, არამედ ყველა სხვა მტკიცებულებას, მათ შორის დოქტორანტის მიერ საკუთარი პოზიციის დასაცავად კომისიის სხდომაზე წარდგენილ დოკუმენტებს.
3. სადისერტაციო საბჭოს სხდომის ოქმს, რომელსაც ხელს აწერს საბჭოს თავმჯდომარე და მდივანი, თან უნდა დაერთოს სხდომაზე განსახილველად წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი, მათ შორის ხელმძღვანელის დასკვნა, დოქტორანტის მიერ საკუთარი პოზიციის დასაცავად წარდგენილი მტკიცებულებები, ასევე კომისიის დასკვნა.

მუხლი 30. სადისერტაციო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება

1. წარდგენილ სამეცნიერო-კვლევით პროდუქტში აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის დადასტურების შემთხვევაში, ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო იღებს გადაწყვეტილებას დოქტორანტის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის გამოყენების შესახებ.
2. დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის გამოყენებისას საბჭომ უნდა დაიცვას სამართლიანობის, ობიექტურობის, შეფარდებულ ზომასა და ჩადენილ გადაცდომას შორის პროპორციულობისა და თანაბარზომიერების პრინციპები.
3. სადისერტაციო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, გასაჩივრების ვადის ამოწურვიდან 3 კალენდარული დღის ვადაში, ეგზავნება უნივერსიტეტის რექტორს და დოქტორანტს, რომლის მიმართაც მიმდინარეობდა დისციპლინური წარმოება.

მუხლი 31. სადისერტაციო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრება (აპელაცია)

1. დოქტორანტს უფლება აქვს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის გამოყენების შესახებ სადისერტაციო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება გაასაჩივროს ამ მუხლით დადგენილი წესით.

2. თუ დოქტორანტი არ ეთანხმება სადისერტაციო საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, მას უფლება აქვს გადაწყვეტილების მიღებიდან 5 კალენდარული დღის ვადაში წერილობით მიმართოს ფაკულტეტის დეკანს და გაასაჩივროს სადისერტაციო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება.
3. საჩივარი უნდა იყოს დასაბუთებული. მასში მკაფიოდ უნდა იყოს მითითებული გასაჩივრების საგანი და გასაჩივრების არგუმენტები. დოქტორანტს უფლება აქვს საჩივარს თან დაურთოს შესაბამისი დარგის დოქტორის (შიდა ან გარე პროფესორი) მიერ გაცემული დასკვნა წარდგენილ სამეცნიერო პროდუქტში აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის არარსებობის შესახებ.
4. ფაკულტეტის დეკანი დოქტორანტის საჩივარს, საჩივრის მიღებიდან 5 კალენდარული დღის ვადაში, წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს განსახილველად.
6. ფაკულტეტის საბჭოს მიერ საჩივრის განხილვისას დოქტორანტს უფლება აქვს დაესწროს სხდომას და წარმოადგინოს საკუთარი მოსაზრებები და მტკიცებულებები.
7. საჩივრის განხილვის შედეგების მიხედვით შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს უფლება აქვს მიიღოს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება:
 - ა. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ;
 - ბ. დოქტორანტის მიმართ წინამდებარე კოდექსით გათვალისწინებული სხვა დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის გამოყენების შესახებ.
8. შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, გადაწყვეტილების მიღებიდან 3 კალენდარული დღის ვადაში, ეგზავნება უნივერსიტეტის რექტორს და პირს, რომლის მიმართაც მიმდინარეობდა დისციპლინური წარმოება.

მუხლი 32. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს ან ფაკულტეტის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულება

1. წარდგენილ სამეცნიერო-კვლევით პროდუქტში აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის დადასტურების შემთხვევაში, შესაბამისი ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს, ხოლო გასაჩივრების შემთხვევაში შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, უნივერსიტეტის რექტორი, შესაბამისი გადაწყვეტილების

მიღებიდან 5 კალენდარული დღის ვადაში, იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას დისციპლინური პასუხისმგებლობის გამოყენების შესახებ.

2. დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის გამოყენების შესახებ რექტორის გადაწყვეტილება საბოლოოა და იგი შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 33. დისციპლინური სანქცია

1. დისციპლინური სანქცია არის პასუხისმგებლობის ზომა აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევისათვის.
2. უნივერსიტეტის რექტორის მიერ უნივერსიტეტის დოქტორანტის მიმართ შეიძლება გატარდეს შემდეგი დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები:
 - ა. გაფრთხილება;
 - ბ. იმავე სამეცნიერო-კვლევითი პროდუქტის წარდგენის უფლების ჩამორთმევა;
 - გ. მომავალ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაზე სპეციალური მონიტორინგის დაწესება;
 - დ. სტუდენტის სტატუსის ერთი სემესტრით შეჩერება;
 - ე. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა.
3. აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის ფაქტის არსებობისას, დოქტორანტს უნივერსიტეტის სახელით ეკრძალება იმ სამეცნიერო-კვლევითი პროდუქტის გამოქვეყნება, რომელშიც გამოვლინდა აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის ფაქტი.

თავი V. დასკვნითი დებულებები

მუხლი 34. კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა

1. კვლევის ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების კოდექსს უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის წარდგინებით უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო.
2. კვლევის ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების კოდექსის მიღება, გაუქმება, მასში ცვლილებისა და დამატების შეტანა წარმოებს ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი წესით.